ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2166631

ნომერი: AR1337949

თარიღი : 30.08.2015

გაცემის თარიღი : 02.09.2015

გაცნობის თარიღი : 02.09.2015

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ბელიაშვილი , შპს,,ჯუმბერ ბერაძე და კომპანია"-ს ობიექტის მიმდებარედ(ნაკვეთი 08/068)/ ქალაქი თბილისი , მტკვრის მარჯვენა სანაპიროს და ბელიაშვილის ქუჩის მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი კვიწინაშვილი პ/ნ 01006005364
- თბილისი დიღმის მას. VI კვ. კორ. 1 ბ. 9

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- კვების ობიექტები
  - რესტორანი

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1663.0

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების,

"დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

AR1337949 (30.08.2015) განცხადების პასუხად, სადაც ითხოვთ საკადასტრო კოდით 01.13.02.008.140 მიწის ნაკვეთზე არსებული კვების ობიექტის (რესტორანი) რეკონსტრუქციას – დამხმარე სათავსოს მშენების მიზნით მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენას გაცნობებთ, რომ საკუთრების დამადასტურებელ მოწმობაში – ამონაწერში საჯარო რეესტრიდან (სარეგისტრაციო #882015416396 28.07.2015) ფიქსირდება ვალდებულება – შეზღუდვა დარეგისტრირებული კონფიგურაციით მშენებლობის უფლების გარეშე. იმისათვის, რომ სამსახურმა განიხილოს მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენის საკითხი თავდაპირველად უნდა მიმართოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს და მოითხოვოთ აღნიშნული ვალდებულების მოხსნა და წარმოადგინოთ განახლებული ამონაწერი საჯარო რეესტრიდან.

დამატებით გაცნობებთ, რომ წარმოდგენილი მიწის ნაკვეთი დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილი რუკის მიხედვით მდებარეობს სარეკრეაციო ზონა 2–ში (რზ–2), სადაც არსებული ნაგებობის რეკონსტრუქცია შესაძლებელია მხოლოდ სპეციალური (ზონალური) ნებართვის საფუძველზე. საკითხის „ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭო“–ს სხდომაზე განსახილველად დამატებით უნდა წარმოადგინოთ საპროექტო ობიექტის ესკიზური ვარინტი და ფოტომონტაჟი არსებულ გარემოში.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის შესაბამისად თქვენ გეძლევათ განაცხადის გამოგზავნიდან 30 დღიანი ვადა მოთხოვნილი დოკუმენტაციის წარმოსადგენად, თუ განმცხადებლის მიერ დანიშნულ ვადაში არ იქნება წარმოდგენილი მოთხოვნილი დოკუმენტაცია საკითხი დარჩეს განუხილველი. გაცნობებთ, რომ ახალი განაცხადის წარმოდგენამდე ადმინისტრაციული წარმოების ვადის დინება არის შეჩერებული და განახლდება დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდგომ.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.